



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 29 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №91/312-18  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- 2018 წლის 21 დეკემბრის №91/312 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 მარტის №119/91/312-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 24 მაისს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:**

საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ იხელმძღვანელა და არ გაითვალისწინა ის საპროცესო ნორმები, რაზეც აპელანტი ამყარებდა მის მოსაზრებას. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლემ დაარღვია კანონი, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. -- კანონიერმა წარმომადგენელმა - -- 2016 წლის 21 მარტს სარჩელით მიმართა -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ -- მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 17 თებერვლის №-- ბრძანების ბათილად ცნობის, -- გამგეობის 2010 წლის 20 აპრილის №-- განკარგულების ბათილად ცნობის და -- რაიონის გამგეობისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით -- ლარის დაკისრების მოთხოვნით.

-- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- 2016 წლის 23 მარტის განჩინებით, სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- 2016 წლის 06 აპრილის განჩინებით, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 07 დღით. -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- 2016 წლის 28 აპრილის განჩინებით, სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად.

2.2. მოსარჩელემ 2016 წლის 23 მაისს წარადგინა კერძო საჩივარი საქმეში მესამე პირების ჩაბმასთან დაკავშირებით. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განჩინებით (მოსამართლე -- --), კერძო საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის განჩინებაზე დარჩა განუხილველი.

2.3. მოსარჩელემ 2016 წლის 07 ოქტომბერს მოთხოვნის დაზუსტების შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, დაზუსტებულ სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 08 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელეს სარჩელზე ხარვეზის შესავსებად გაუგრძელდა საპროცესო ვადა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელის გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში.

საქმეზე 2016 წლის 28 დეკემბერს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. 2017 წლის 22 თებერვალსა და 07 მარტს ჩატარდა სასამართლო მთავარი სხდომები. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე - -- --) 2017 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.4. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა -- -- და -- -- კანონიერმა წარმომადგენელმა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 06 ივლისის განჩინებით (მოსამართლე - -- --), სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. ამავ განჩინებით, საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა ხუთ თვემდე.

საქმეზე 2017 წლის 03 ოქტომბერს გაიმართა სხდომა. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით (თავმჯდომარე - -- --, მოსამართლეები - -- --, - -- --), სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.5. -- -- კანონიერმა წარმომადგენელმა -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინება გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 12 იანვარს. საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 22 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 12 მარტის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 13 სექტემბრის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მოსამართლე განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორიარ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **4.საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 21 დეკემბრის №91/312 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს

მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გადაწყვიტა:**

-- -- 2018 წლის 21 დეკემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**